

სავალუტო გარიგების მომსახურების წესები და პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დეტალურად აღწეროს სავალუტო ბაზარზე კლიენტსა და სს „ბაზისბანკს“ (შემდგომში „ბანკი ან „ბაზრის მონაწილე“) შორის ვაჭრობის ძირითადი ასპექტები.

ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭვირვალე ბაზრის განვითარების მიზნით, კლიენტთან ურთიერთობაში ბანკი ხელმძღვანელობს სავალუტო ბაზარზე საქმიანობის ზოგადი წესებით, მოქმედი კანონმდებლობითა და FX გლობალური კოდექსით (შემდგომში FX კოდექსი) დადგენილი წესების მიხედვით. მხარეები მხარს უჭერენ ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკებს, მათ შორის FX კოდექსში მოცემულ მეთოდებს.

ეს დოკუმენტი ადგენს მხოლოდ ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის ურთიერთობის ზოგად სტანდარტებს და არ გააჩნია იურიდიულად მავალდებულებელი ძალა. შესაბამისად, საბანკო მომსახურების განხორციელებისას ბანკის მიერ კლიენტისთვის გაცხადებული ზოგადი წესები და პირობები, ასევე კლიენტსა და ბანკს შორის არსებული შეთანხმებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე დოკუმენტს, მიიჩნევა უპირატესი ძალის მქონედ.

გარიგების დადების დროს, ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს როგორც კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით მხარეებს შორის. ნებისმიერი დადებული გარიგება აღსრულდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად, მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და ნებისმიერ მესამე პირთა პროფესიული რჩევების საფუძველზე, რომელიც დაეფუძნება, მათ შორის, ფინანსურ, იურიდიულ, საბუღალტრო თუ სავადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ ასპექტებს.

1. კომუნიკაცია მხარეთა შორის და ძირითადი პირობები.
 - 1.1. ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის კომუნიკაცია ხორციელდება როგორც ელექტრონულად (დაცული დისტანციური არხები, ბანკში დაფიქსირებული ელ. ფოსტა) ასევე სიტყვიერად (ტელეფონით) ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა საშუალებით.
 - 1.2. კლიენტი უფლებამოსილია: ა) გარიგება დადოს როგორც კონტრაქტმა, მოითხოვოს ფასები და შეათანხმოს სასურველი პირობები, რა შემთხვევაშიც ბაზრის მონაწილე წარმოადგენს „პრინციპალ მოვაჭრეს“ და კლიენტთან გარიგებას დებს საკუთარი სახელითა და რისკით; ბ) დავალება მისცეს ბაზრის მონაწილეს, როგორც „აგენტ მოვაჭრეს“, სავალუტო ბაზარზე (მათ შორის BMatch პლატფორმაზე) გარიგების დადების თაობაზე, რისკის აღების გარეშე. ბაზრის მონაწილე კლიენტის დავალების აღსრულებს იმ სტატუსის შესაბამისად („პრინციპალი მოვაჭრე“ ან „აგენტი მოვაჭრე“), რომლითაც ის მოქმედებს კლიენტთან ურთიერთობაში, კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით, ისე, რომ კლიენტისთვის მიიღოს ყველაზე ხელსაყრელი პირობები.
 - 1.3. ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციას აწარმოებს ზუსტად, ნათლად, და გარკვევით და ხმარობს ყველა ღონეს, რათა განზრახ შეცდომაში არ შეიყვანოს კლიენტი. ამ მიზნით, ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია, კლიენტს მიაწოდოს გონივრული ინფორმაცია სავალუტო ბაზრის შესახებ, ბაზრის ზოგადი ტენდენციების, წინასწარი კვლევებისა და ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით, ასევე ინფორმაცია წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების თაობაზე. აღნიშნული ქმედების განხორციელებისას ბანკი იმოქმედებს კონფიდენციალურობის სრული დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან/და კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას.
 - 1.4. მხარეები აცნობიერებენ, რომ სავალუტო ბაზარზე განხორციელებული გარიგებები დაკავშირებულია გარკვეულ ვარაუდებთან და მაღალ რისკებთან, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკურ რისკებით, მაღალი განაკვეთებით დაბეგვრით, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციით, ვალუტის კურსის მერყეობით, რის გამოც ბაზრის მონაწილისთვის მიცემული დავალების განხორციელებისას, შესაძლებელია გარიგება შესრულდეს სრულად ან ნაწილობრივ, (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შესრულდეს კლიენტისთვის ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით, რადგან დროის ამ შუალედში შეიცვალა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.
 - 1.5. ბანკი აცხადებს, რომ წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში კლიენტთან მომსახურების გაწევისას, მას გააჩნია ინფორმაციის დაცვის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც იცავს კლიენტის კონფიდენციალურ ინფორმაციას ნებისმიერი უნებართვო წვდომისაგან როგორც მესამე პირების, ასევე ნებისმიერი სხვა

არაუფლებამოსილი პირისაგან. ბანკი უზრუნველყოფს, მის შესაბამის თანამშრომელთა ფუნქციების სეგრეგირებასა და წვდომის შეზღუდვას კლიენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, მათ შორის, კლიენტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაციაზე.

2. ბაზრის მონაწილე, როგორც „პრინციპალი მოვაჭრე“
 - 2.1. კლიენტი უფლებამოსილია, სავაჭრო მოთხოვნა განათავსოს ბაზრის მონაწილესთან წინასწარ შეთანხმებული წესის მიხედვით. ბაზრის მონაწილე არ არის ვალდებული, მიიღოს კლიენტის მოთხოვნა და იმოქმედოს მის საფუძველზე ან დადოს გარიგება, გარდა კანონმდებლობითა და კლიენტთან არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.
 - 2.2. ვალუტით ვაჭრობა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად, მათ შორის Bloomberg-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. ბანკი ვალდებულია, დაიცვას კლიენტთან შეთანხმებული პირობები, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის ზოგად წესებს, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ პირობებსა და ელექტრონული პლატფორმის ფუნქციონირებას.
3. კლიენტის დავალებით ვაჭრობის პირობები, „აგენტი მოვაჭრე“, BMatch პლატფორმა.
 - 3.1. Bmatch პლატფორმა წარმოადგენს სისტემას, რომლის მეშვეობით სისტემის მონაწილე თავისი სახელით და/ან კლიენტის დავალებით განათავსებს ვალუტის ყიდვის და/ან გაყიდვის განაცხადს, რომელიც გაცვლითი კურსის თანხვედრის შემთხვევაში სავაჭრო სისტემის მიერ კმაყოფილდება ავტომატურად.
 - 3.2. კლიენტის მიერ ვალუტით ვაჭრობის შესახებ ბანკში დავალების გაგზავნა ხორციელდება დისტანციურად, ინტერნეტბანკში სპეციალურად საამოსოდ შექმნილი პროგრამული მოდულის მეშვეობით, სადაც კლიენტი ვალდებულია მიუთითოს ბანკში მის სახელზე არსებული მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, გარიგების ოდენობა და სასურველი ვალუტის კურსი.
 - 3.3. ბანკი, კლიენტის დავალების მიღებისას, სავაჭრო სისტემაში არეგისტრირებს განაცხადს, რომელიც სრულად შეესაბამება კლიენტის დავალებაში მითითებულ მონაცემებს და კლიენტს პროგრამული მოდულის მეშვეობით, დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას აღნიშნული განაცხადის სტატუსის შესახებ.
 - 3.4. კლიენტისთვის ცნობილია, რომ სავაჭრო სისტემა უზრუნველყოფს სისტემაში არსებული გარიგებების ავტომატურ დაწყვილებას (მეჩინგს) და იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო სისტემის სხვა მონაწილის მიერ შეთავაზებული ვალუტის კურსი დაემთხვევა კლიენტის დავალებაში მითითებულ ოდენობას, გარიგება დაიდება (გარიგების დადების დღე).
 - 3.5. ბაზრის მონაწილე, ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას მოქმედებს იმ წესებისა და პირობების გათვალისწინებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე https://basisbank.ge/data/file_db/2020/BMatch_d_77Gn4PUR.pdf და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის.
4. ელექტრონული ვაჭრობის ზოგადი პირობები
 - 4.1. კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილისათვის ელექტრონული ვაჭრობისთვის დავალების მიცემისას, ბაზრის მონაწილე ხელმძღვანელობს კონკრეტული ელექტრონული პლატფორმისთვის დადგენილი წესებითა და პროცედურებით.
 - 4.2. ბაზრის მონაწილის მიერ დავალებები აღსრულდება სამართლიანობისა და გონიერულობის პრინციპით, ასეთ მომენტში ბაზარზე მოქმედი წესებისა და პირობების, ასევე ამ დოკუმენტითა და კლიენტთან გაფორმებული შეთანხმებებით დადგენილი პირობებიდან გამომდინარე;
 - 4.3. სავალუტო ვაჭრობის პროცესში, შესაძლებელია გარიგება შესრულდეს სრულად ან ნაწილობრივ, რის თაობაზეც კლიენტს ეცნობება დაუყოვნებლივ, ხოლო შეუსრულებელი ნაშთი დაუბრუნდება ბანკში არსებულ მის კუთვნილ მიმდინარე ანგარიშზე მხარეთა წინასწარი შეთანხმების შესაბამისად.
 - 4.4. კლიენტის დავალების შესრულება განხორციელდება ე.წ. „first come first served“ პრინციპით, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ მიღებული დავალების პრიორიტეტიზირებას დავალების განთავსების დროიდან გამომდინარე. შესაბამისად, ერთსა და იმავე პროდუქტზე ან ვალუტის წყვილზე იდენტური დავალების განთავსების შემთხვევაში, შესრულდება პირველ რიგში მიღებული დავალება, ხოლო შემდგომი დავალებები ექვემდებარება ავტომატურ გაუქმებას.
 - 4.5. ბაზრის მონაწილე ადასტურებს, მის მიერ დავალების მიღებამდე ან გაუქმებამდე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რისკების მართვისა და ოპერაციული კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები, (მათ შორის: ე. წ. “Last look” პრინციპი, ფასების შემოწმება, კონტრაჰენტთან სავაჭრო ლიმიტი, საკრედიტო რისკების შემოწმება, ვალუტის წყვილების ნებართვა და სხვა. სს ბაზისბანკი ადასტურებს, რომ ამ

დოკუმენტის ფარგლებში ქმედების განხორციელებისას, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ყოველთვის სრულად და გამჭვირვალედ განმარტავს კლიენტების დავალების გაუქმების/შეფერხების მიზეზებს.

5. ბაზრის მონაწილის მარჟა.

5.1. ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია, ვაჭრობის მოცულობის საფუძველზე მინიჭოს კლიენტებს კონკრეტული კატეგორია და დააწესოს მარჟის ლიმიტი FX Spot- ისა და FX Forward- ული გარიგებების დროს ინდივიდუალურად, მინიჭებული კატეგორიების გათვალისწინებით.

6. გარიგების აღსრულება

6.1. ბაზრის მონაწილე, კლიენტთან დავალების დადებისას, მოქმედებს სამართლიანად, გამჭვირვალედ, რაც მათ შორის მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას, კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებითა და წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

6.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება დადებული გარიგების პირობების შესაბამისად, გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს.

6.3. Bmatch პლატფორმის მეშვეობით დავალების განხორციელებისას ანგარიშსწორება განხორციელდება T+1 პრინციპით, კერძოდ, გარიგების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, კლიენტის დავალებით მოთხოვნილი კურსით კონვერტირებული თანხა/შეუსრულებელი ნაშთი დაუბრუნდება კლიენტს ბანკში არსებულ მის კუთვნილ მიმდინარე ანგარიშზე არაუგვიანეს გარიგების დადების დღის მომდევნო დღისა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მომდევნო დღე არის შაბათი, კვირა ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასვენების დღეები. ასეთ შემთხვევაში, ოპერაცია დასრულდება აღნიშნული დღეების მომდევნო სამუშაო დღეს.

7. ფასდადების პოლიტიკა, სამართლიანი ფასები.

7.1. ბაზრის მონაწილე ადასტურებს, რომ ფასდადება არის სამართლიანი და გონივრული, შეესაბამება გასაწევი მომსახურების ეკონომიკურ ხარჯებსა და სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ აღებულ რისკებს.

7.2. ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია, ფასდადებისას გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, რომელიც მათ შორის, მოიცავს: გარიგების ზომას ან / და სირთულე, ლიკვიდობას, საკრედიტო ხარჯებს, ბალანსის უწყისს და კაპიტალს, რისკის ლიმიტს, ვაჭრობის საპროცესო ხარჯებს, გაყიდვების მცდელობებს, შესაბამისად, ბაზრის მონაწილემ შეიძლება შესთავაზოს კლიენტს განსხვავებული ფასები იმავე ან მსგავსი FX სპოტ და FX ფორვარდული გარიგებების დროს.

7.3. Bmatch პლატფორმის მეშვეობით კლიენტის დავალების აღსრულებისას, ბაზრის მონაწილე ვალდებულია, კლიენტს დაუწესოს ფიქსირებული საკომისიო გადასახადი, რომლის შესახებ ინფორმაციაც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე: www.basisbank.ge

7.4. კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება ბაზრის მონაწილის მიერ წინასწარ შეთავაზებული ტარიფებითა და კლიენტთან დადებული ორმხრივი შეთანხმების მიხედვით.

7.5. ბაზრის მონაწილე ვალდებულია, არ დაუწესოს კლიენტს სამართლიანზე მეტი საკომისიო ან მომსახურების ანაზღაურება, ამასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გათვალისწინებით.

7.6. ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) მომსახურების ტარიფებში. აღნიშნულის შესახებ ბანკი კლიენტის ინფორმირებას ახდენს წინასწარ.

8. საერთო დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ბაზრის მონაწილე იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეცვალოს ამ ხელშეკრულების პირობები, რათა მოხდეს საბაზრო პირობებსა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების ასახვა.

8.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.3. წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია, მიმართოს ბაზრის მონაწილის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ბანკის სერვისცენტრებში წერილობითი განცხადების დაფიქსირებით ან სატელეფონო ნომრის მეშვეობით: +995 322 922 922, ან მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

8.4. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5. კლიენტი თანახმაა, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მნიშვნელოვან საკითებზე შეთანხმების დროს, ბაზრის მონაწილე დაეყრდნოს მხარეებს შორის სატელეფონო შეტყობინებებს. სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილისათვის ზეპირი დავალებების არსებობისას, ასეთი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ არც-ერთი მათგანი არ არის წინააღმდეგი და არ შეუშლის ხელს ასეთი ჩანაწერების გამოყენებას სადავო საკითხების გადაწყვეტის პროცესში და რომ დავების დარეგულირების დროს ასეთი ჩანაწერები გამოყენებული იქნება, როგორც მათი პოზიციების ობიექტური მტკიცებულება. მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლოა გაკეთდეს ჩანაწერის ნამდვილობის ექსპერტიზა